ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის სხდომის
ოქმი N02

დაბა ქედა 27 ივლისი, 2023 წელი

სხდომა დაიწყო 12:00 სთ-ზე
სხდომა დამთავრდა 12:30 სთ-ზე

სხდომას თავმჯდომარეობდა მერაბ ნაკაშიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:

ამირან ცინცაძე - კომისიის წევრი;
ამირან წულუკიძე - კომისიის წევრი;
გოჩა ჟღენტი - კომისიის წევრი;
გოჩა გორგილაძე - კომისიის წევრი.

სხდომას არ ესწრებოდა კომისიის წევრი: ჯიმშერ სამნიძე და მამუკა გოგოლიშვილი.

სხდომას ასევე ესწრებოდა:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში - ციური ზაქარაძე;

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - მერაბ ტაკიძე;

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი
რესურსების საკითხთა კომისიის წევრთა სარეგისტრაციო ფურცელი

27.07.2023 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის თავმჯდომარე	
2	ჯიმშერ სამნიძე	კომისიის წევრი	
3	მამუკა გოგოლიშვილი	კომისიის წევრი	
4	ამირან ცინცაძე	კომისიის წევრი	
5	ამირან წულუკიძე	კომისიის წევრი	
6	გოჩა გორგილაძე	კომისიის წევრი	
7	გოჩა ჟღენტი	კომისიის წევრი	

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით.

დღის-წესრიგი:

1. ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არამატერიალური ქონებრივი სიკეთე შპს ,,საფეხბურთო კლუბი ბეთლემი"-ს (ს/ნ-446754245) 100%-იანი წილის ელექტრონული აუქციონის წესით განკარგვის თაობაზე, ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

2. ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აუქციონის წესით სარგებლობის უფლებით, ვადით, სასყიდლიანი იჯარის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

1. **მოისმინეს:** კომისიის თავმჯდომარე - მერაბ ნაკაშიძემ კომისიის წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არამატერიალური ქონებრივი სიკეთე შპს ,,საფეხბურთო კლუბი ბეთლემი"-ს (ს/ნ-446754245) 100%-იანი წილის ელექტრონული აუქციონის წესით განკარგვის თაობაზე, ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (განცხადების ნომერი 12-95232051-95, განცხადების თარიღი 24.07.2023).

მომხსენებელმა ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა - მერაბ ტაკიძემ განმარტა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არამატერიალური ქონებრივი სიკეთე შპს ,,საფეხბურთო კლუბი ბეთლემი"-ს (ს/ნ-446754245) 100%-იანი წილი, მართვის უფლებით 29 წლის ვადით ელექტრონული აუქციონის წესით უნდა გასხვისდეს. საფეხბურთო კლუბის მართვის უფლებით გადაცემის შემთხვევაში, შპს „ტექტო ჯგუფი"-ს შემოთავაზებით მათ მიერ, ყოველწლიურად განხორციელდება 150000 (ას ორმოცდაათი ათასი) ლარის ინვესტიცია, 29 წლით გასხვისების შემთხვევაში ჯამში 4 350 000 (ოთხი მილიონ სამას ორმოცდაათი ათასი) ლარის ინვესტიცია და საფეხბურთო გუნდის რანგით უფრო მაღალ ლიგაში დაწინაურება. დღეის მდგომარეობით ფეხბურთის კლუბი „ბეთლემი" ასპარეზობს საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მეოთხე ლიგაში და 14 ტურის შემდეგ პირველ ადგილზეა.

ვინაიდან, საფეხბურთო კლუბი „ბეთლემი" ფინანსდება მხოლოდ ფეხბურთის ფედერაციის მიერ გამოყოფილი ფინანსებით, რომელიც წელიწადში შეადგენს 120000 (ასოცი ათასი) ლარს, კლუბში დამატებითი ფინანსების დაბანდება გაზრდის კლუბის კონკურენტუნარიანობას და შესაძლებელი გახდება უფრო დიდი მიზნების მიღწევა, ვიდრე დღეის მდგომარეობით კლუბს შეუძლია. ამიტომ მიზანშეწონილია, მოხდეს საფეხბურთო კლუბ „ბეთლემი"-ს 100%-იანი წილის მართვის უფლების გასხვისება ელექტრონული აუქციონის წესით 29 წლის ვადით, რომლის წლიური საწყისი საპრივატიზებო საფასური აუდიტის დასკვნის შესაბამისად შეადგენს 2000 (ორიათასი) ლარს.

კომისიის წევრებს წარმოდგენილი საკითხის მიმართ შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:
მომხრე: 5
წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:
მიზანშეწონილად ჩაითვალოს ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არამატერიალური ქონებრივი სიკეთე შპს ,,საფეხბურთო კლუბი ბეთლემი"-ს (ს/ნ-446754245) 100%-იანი წილის ელექტრონული აუქციონის წესით განკარგვის თაობაზე, ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

2. მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აუქციონის წესით სარგებლობის უფლებით, ვადით, სასყიდლიანი იჯარის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (განცხადების ნომერი 12-95231811-95, განცხადების თარიღი 30.06.2023).

მომხსენებლის ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - მერაბ ტაკიძის განმარტებით წარმოდგენილია საკითხი ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების - დაბა ქედა აკაკი წერეთლის ქ. №1-ში მდებარე შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე არსებული 79.14 კვ.მ. ფართის (ს/კ21.03.34.282) (გადასაცემი შენობის ფართის შიდა აზომვითი ნახაზი განკარგულებას თან ერთვის) აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით, 10 წლის ვადით, სასყიდლიანი იჯარის ფორმით გადაცემაზე.

ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზანს წარმოადგენს ქალაქ ბათუმის მცხოვრები მარინა ნაკაშიძის (პN61008004824) მუნიციპალიტეტის მერიაში შემოტანილი განცხადება, რომლითაც მოითხოვს დაბა ქედაში, წერეთლის ქუჩა N1-ში მდებარე მუნიციპალიტეტის კუთვნილი შენობა-ნაგებობის (ს/კ 21.03.34.282) ნაწილის, კერძოდ 79,14 კვ. მეტრი ფართის იჯარის წესით გასხვისებას. სადაც პერსპექტივაში დაგეგმილი აქვს სტომატოლოგიური კაბინეტის მოწყობა, რომლის ამოქმედებისათვის გამოთქვამს მზაობას განახორციელოს 50000 (ორმოცდაათიათასი) ლარის ინვესტიცია და იღებს ვალდებულებას დაასაქმოს მუდმივად 6 ადამიანი.

კომისიის წევრებს წარმოდგენილი საკითხის მიმართ შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:

მომხრე: 5
წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:

მიზანშეწონილად ჩაითვალოს ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აუქციონის წესით სარგებლობის უფლებით, ვადით, სასყიდლიანი იჯარის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა 12:30 სთ-ზე დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე მერაბ ნაკაშიძე

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის პირველი
კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ციური ზაქარაძე
კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში